ოქმი N 6

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2025 წლის 26 მარტი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. სერგო ბერაია
5. აკაკი მალანია
6. ბადრი რიჟამაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2025 წლის 21 მარტის N50-50-50250804 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2025 წლის 21 მარტის N50-50250855 წერილის განხილვა 2024 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ლ. ლიპარტიას 2025 წლის 24 მარტის N51-51250835 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2025 წლის 21 მარტის N50-50-50250804 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობები განისაზღვრა-29149,9 ათასი ლარით. გადასახდელები განისაზღვრა 34279,1 ათასი ლარის ოდენობით.

პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადებული დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

2025 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან აისახოს 316,8 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებები.

ნაშთის 316,8 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი) მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება" ასიგნებაზე 45,0 ათასი ლარი, აქედან:

15,0 ათასი ლარით მუნიციპალიტეტის საკრებულოს ასიგნება,

30,0 ათასი ლარით მუნიციპალიტეტის მერიის ასიგნება,

პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე 271,8 ათასი ლარი, აქედან:

71,8 ათასი ლარი ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ასიგნებაზე,

82,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია" ასიგნებაზე,

118,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის „სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია" ასიგნებაზე.

ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2025 წლის 21 მარტის N50-50250855 წერილის განხილვა 2024 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ანგარიში, ანგარიშის თანახმად საანგარიშო წლის ბოლოსთვის შესყიდვების გეგმის საერთო მოცულობამ შეადგინა 22218356,17 ლარი, რის საფუძველზე 2024 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული იქნა - 102 ელექტრონული ტენდერი აქედან:

გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ - 85 ხელშეკრულება.

არ შედგა - 8 ელეტრონული ტენდერი.

შეწყვეტილია - 1 ელეტრონული ტენდერი.

დასრულდა უარყოფითი შედეგით - 8 ელეტრონული ტენდერი.

2024 წლის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული იქნა 101 ხელშეკრულება, რომლის ჯამური ღირებულებაა - 1487636,00 ლარი.

2024 წლის განმავლობაში კონსოლიდირებული ტენდერის შესყიდვის საშუალებით გაფორმებული იქნა 21 ხელშეკრულება, რომლის ჯამური ღირებულებაა - 1217659,00 ლარი.

2024 წლის განმავლობაში სახელწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებში სულ განხორციელდა 102 ცვლილება.

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადდა 28 ელექტრონული ტენდერი, საზედამხედველო მომსახურებაზე 2 ელექტრონული ტენდერი, რომელიც მოიცავს 2024 და 2025 წლების განმავლობაში განსახორციელებელი ერთწლიანი ან/და ამავე წლებში დასაწყები მრავალწლიანი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოების, მათი პროექტების (საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში) და მიმდინარე შესყიდვამდე არსებულ პროექტებში (საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში) შესატანი ცვლილების პროექტის საზედამხედველო მომსახურებას. (აღნიშნულზე ინფორმაცია მოცემულია დანართში).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ შესყიდვების გეგმის ანგარიშთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ლ. ლიპარტიას 2025 წლის 24 მარტის N51-51250835 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"დადგენილების პროექტი, რომელიც მიღებულ იქნა 2025 წლის 6 თებერვლის საკრებულოს სხდომაზე, სადაც გაპარულ იქნა ტექნიკური შეცდომა კერძოდ: საკრებულოს აპარატის უფროსის ხელფასი მითითებულ იქნა 3458 ლარი ნაცვლად 3358 ლარისა. წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ხორციელდება ზემო აღნიშნული ჩანაწერის შესწორება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია